



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N17

ქ.ლანჩხუთი

06.09.2017 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარები“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატი უფროსი) მ/შ ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, გუბერნატორის პირველი მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა გამგებლის წინადადების საფუძველზე. დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი შედგება ერთი საკითხისგან. ეს გახლავთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წინა საკრებულოს სხდომაზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. საუბარია ცვლილებებზე, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისთვის წლის დარჩენილ პერიოდში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ სამი წლის მანძილზე პირველად არის შემთხვევა, როდესაც საკრებულოს სხდომას ესწრება გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ბატონი მერაბ ჭანუყვაძე და გუბერნატორის პირველი მოადგილე, ქალბატონი ქეთევან მოისწრაფეშვილი. დიდი მადლობა გადაუხადა მათ თანადგომისთვის და მობრძანებისთვის, ასევე წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში გურიისა და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ -გუბერნატორმა, მერაბ ჭანუყვაძემ:

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ვიყო თქვენთან ერთად და მომავალი წლების განმავლობაში იმ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას, რომლებიც ამ მუნიციპალიტეტისთვის არის გადამწყვეტი და არსებითად მნიშვნელოვანი, ყველამ ერთად ღირსეულად შევუწყობთ ხელი. მზად ვარ ურთიერთობისთვის არა მარტო ჩვენს გუნდთან და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან, არამედ ოპოზიციურ მხარესთანაც იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც აუცილებელია რეგიონის განვითარებისთვის. ჩვენ გვაქვს მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში მტკიცედ გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც რეგიონისთვის იქნება უმნიშვნელოვანესი და მე დარწმუნებული ვარ ყველანი ერთად ამ ძალიან დიდ საქმეს წარმატებით გავართმევთ თავს. ნებისმიერ დროს მზად ვარ თითოეულ თქვენთაგანთან ურთიერთობისთვის და არასდროს არ გქონდეთ იმის განცდა, რომ ამ კუთხით დადგება რაიმე პრობლემა. ეს გამორიცხულია, რადგან არც ერთი ადამიანი არ მეგულემა ლანჩხუთის სინამდვილეში, რომელსაც თავისი ქალაქის და რეგიონის განვითარება არ ქონდეს მიზნად დასახული. დარწმუნებული ვარ ეს ურთიერთობა და თანამშრომლობა იქნება წარმატებული.“ მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა სოფელში აქტიურად დაიწყება შეხვედრები მოსახლეობასთან. თითოეული ადამიანი იქნება ჩართული ამ პროცესში, რადგან ქონდეს განცდა იმისა, რომ თვითონ არის ყველა პროექტის ავტორი და განმახორციელებელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

დღის წესრიგის საკითხზე: დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობის 30 აგვისტოს N1828 განკარგულებით აგვისტოს თვეში ძლიერი ნალექის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოიყო 247000 ლარი, რომლიდანაც 130000 ლარი უნდა მიიმართოს სტიქიით დაზიანებულ შემდეგ ობიექტებზე - ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის აღდგენით სამუშაოებზე, 117000 ლარი - ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1394 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი 1010000 ლარიდან ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებულია ეკონომია 15134 ლარი, მათ შორის: 10080 ლარი სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯი; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლის ხარჯი 5053 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯის 10080 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციის და მოვლის ხარჯი. 15134 ლარი მიმართოს ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებულ შემდეგ ობიექტებზე: 1. სოფელ ნიგვზიანში დავით მოისწრაფიშვილის ეზოსთან სახიდე გადასასვლელზე 9926 ლარი; 2. სოფელ არჩეულში თამაზ აბაშიძის ეზოსთან რკ. ბეტონის არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა 5208 ლარი. /საფუძველი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს სხდომის N2 ოქმი/.

მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით 7 თვეში გაწეული ხარჯების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში კორექტირებები. კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების მუხლი შემცირდეს 25000 ლარით და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის არაფინანსური აქტივების 15000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს; საკრებულოს ოფისის ხარჯი 9200 ლარით, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი - 10800 ლარით.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულების კლების მუხლი შემცირდეს 36000 ლარით და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 36000 ლარით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების შესრულების მიზნით. მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფისის ხარჯი გაიზარდოს 4800 ლარით, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი 9400 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი 800 ლარით, გამგეობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის მივლინების მუხლი 3000 ლარით, რათა უზრუნველყოფილ იქნას 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამგეობაში დასაქმებულ მუშაკთა დაგეგმილ ტრენინგზე

მივლინების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერჯის ხარჯის დაფინანსება გაიზაროს 5000 ლარით.

ასევე, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შეტანილ იქნას შემდეგი კორექტირებები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 17950 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17950 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის 20000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 20000 ლარით.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ როცა ეს პროექტი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე იქნა წარმოდგენილი განხილვისთვის, მასში არ იყო გათვალისწინებული ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯები. მაშინ კომისიის სხდომაზე დეპუტატმა გააკეთა განცხადება, რომ, აბსოლუტურად გაკონტროლდება საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარეების მიერ პარტია „ქართული ოცნება“-ს მხრიდან კანდიდატებად დარეგისტრირების შემდეგ მათ მიერ გაწეული სატრანსპორტო ხარჯები. მისი თქმით, საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი არის იმათ სიაში, ვინც აკეთებს ფინანსურ შემოწირულობებს პარტია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძის** აზრით, ასევე გაუგებარია სტიქიასთან დაკავშირებული საკითხიც, რადგან სტიქია, როგორც ასეთი, უახლოეს პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ ყოფილა. მისი თქმით, 2015 წელს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხა მუნიციპალიტეტს გადაეცა ერთი წლის შემდეგ - 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ყოველივე აქედან გამომდინარე, უჩნდება ეჭვი, რომ ეს არის წინა საარჩევნოდ გამიზნული თანხები. მან მიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, ჯუმბერ ბლაგიძეს მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ასევე მოწვეულ იქნებიან მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები, რათა მათ წარმოადგინონ დასაბუთებული და დასურათებული მასალები ყველა იმ ოჯახისა, რომელთაც გაეწევა დახმარება სტიქიის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით. დეპუტატის თქმით, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად სწორედ ახლა მიმართა 130 000 ლარი, მაშინ როცა ეს გზა წლებია დაზიანებულია და ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რასაც საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ ითხოვდა ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, თეიმურაზ მარშანიშვილი. ასევე, პროექტში არ იყო გათვალისწინებული ჩოჩხატის ადმინისტრაციული ერთეულისთვის თანხის გამოყოფა სტიქიასთან დაკავშირებით, რაც საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის განმარტებით გამოიწვია გამგებლის წარმომადგენლის მიერ ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებამ. ამჟამად წარმოდგენილ პროექტში კი ეს საკითხი ჩასმულია.

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძეს** დანაშაულად მიაჩნია მთავრობის მიერ წინა საარჩევნოდ ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. ასევე არასწორია, რომ სამოც დღიან საარჩევნო რეჟიმში ეს პროექტები იქნას განხორციელებული.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** თქმით, რაც შეეხება წინასაარჩევნო 60 დღის განმავლობაში ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, ბიუჯეტი არ იზრდება გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც შეეხება სტიქიურ მოვლენებს. თანხის გამოყოფა ხდება დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, ანუ ზრდას არ აქვს ადგილი. კონკრეტულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იზრდება 247 000 ლარით, რადგან ეს არის ფორსმაჟორული შემთხვევა, რაც დაფიქსირებულია. რაც შეეხება ობიექტებს, მათთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიის მიერ მოწოდებულ იქნა დასაბუთებული დასკვნები. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილება ხორციელდება შიდა მონაცვლეობის ხარჯზე.

დეპუტატი, **თეიმურაზ ალექსაია** დაინტერესდა, თუ რატომ არ არის სიაში სოფელ ჭყონაგორას მკვიდრი ირინა ორმოცაძე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველი ძლიერი ნალექის დროს საჭირო ხდება მისი ოჯახისთვის სამაშველო სამსახურის დახმარება. აღნიშნული პრობლემის შესახებ რამდენიმე წელია მოწოდებულია ინფორმაცია და არაერთხელ იყო თხოვნა დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიამ ოთხი სახლი დააზიანა. ის ეთანხმება, რომ უნდა შემოწმდეს, თუ რა გაკეთდება სტიქიასთან მიმართებაში გამოყოფილი თანხით. მას, როგორც საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, ამასთან დაკავშირებით ექნება შესაბამისი რეაგირება.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძის** თქმით, წარმოდგენილ პროექტში წერია, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის 20000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 20000 ლარით. დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის თანხაა გახარჯული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამიდან, რადგან დაფინანსება შეადგენდა 60 000 ლარს. ის იმედოვნებს, რომ ეს 20 000 ლარი არ იქნება მთლიანად გახარჯული წინა საარჩევნო პერიოდში.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამიდან გახარჯულია 19 226,24 ლარი, ფაქტიურად ასათვისებელია 50 000 ლარი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ამ ეტაპისთვის 30 000 ლარი დარჩეს აღნიშნულ პროგრამაში საგარანტიო წერილების გასაცემად, ხოლო 20 000 ლარი მიიმართოს იმ ერთჯერად დახმარებებისთვის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსახლეობის მხრიდან შემოსულია განცხადებები.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მოსახლეობისთვის ნებისმიერი დახმარების გაწევა ნამდვილად კარგია, მაგრამ საარჩევნო პერიოდში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არ უნდა მოხდეს ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსის აქტიური გამოყენება არაკონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად. მისი თქმით, წლის განმავლობაში შემოსულია 844 განცხადება ერთჯერადი დახმარების გაცემის თვალსაზრისით, აქედან დაკმაყოფილებულია თითქმის ნახევარი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა ამაზე აქამდე სათანადო რეაგირება. ამას გარდა,

მოხდება თუ არა დარჩენილი განცხადებების დაკმაყოფილება ასე მარტივად, თუნდაც ერთი კომისიის მოწვევით ან რა კრიტერიუმით შეირჩევა ამ მოქალაქეებიდან დახმარების გაცემასთან დაკავშირებული კონტიგენტი. დეპუტატმა ასევე ყურადღება გაამახვილა სუფსა - გულიანი - ჩოჩხათის გზის მონაკვეთზე, სადაც ძალიან ცუდად დაიგო ასფალტის საფარი და თავიდან ხდება გზის გარკვეულ ადგილებში საფარის ჩაგება. ამას გარდა, პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო შრომისუბნის ცენტრში სანიაღვრე არხის გაკეთება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხარჯები უკვე გაწეულია, ცენტრი მოუწყვრიგებელია. ასევე, საბავშვო ბაღის მისასვლელთან უნდა დაგებულიყო ასფალტის საფარი. მისი თქმით, სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას „სამკუთხედი“ უნდა მოეთხოვოს სათანადოდ შეასრულოს ის პირობები, რომლებიც ქონდა დაკისრებული. დეპუტატის აზრით, სტიქიასთან დაკავშირებით გამოყოფილი ხარჯები არ იქნება ჯეროვნად გამოყენებული, არამედ მოხმარდება წინასაარჩევნო პერიოდს. აქედან გამომდინარე, დეტალურად უნდა იქნას გაწერილი, თუ როგორ და სად გაიხარჯება ეს თანხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წყალწმინდაში სტიქია გრძელდებოდა დაახლოებით 4 საათის განმავლობაში. იყო ძლიერი წვიმა, სეტყვა და ქარბუქი, რასაც მოყვა შუქის გათიშვა. მისი თქმით, იყო ძალიან მძიმე ვითარება, რომლის გახსენებაც კი უჭირს.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, სტიქიის დროს ავტომანქანით მოძრაობდა სუფსის მიმართულებით. მართლაც რომ საშინელი სიტუაცია შეიქმნა. იყო ძალიან ძლიერი წვიმა, ქარი. ხილვადობა თითქმის არ არსებობდა.

საკრებულოს ფრაქცია, „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პერიოდია, შეიძლება ადამიანი ავად გახდეს ან რაიმე სერიოზული პრობლემა შეექმნას, ამიტომ მას შეძლებისდაგვარად უნდა გაეწიოს სათანადო დახმარება.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ნამდვილად ქონდა სტიქიურ მოვლენებს ადგილი, რომლის შედეგად ფაქტიურად მოწყდა მთა, რომელიც წალეკვით ემუქრება ორ ოჯახს. ამასთან დაკავშირებით ტელევიზიითაც გადაიდა სიუჟეტი, მაგრამ ეს მოქალაქეები ჩამონათვალში არ არიან გათვალისწინებულები. ის დაინტერესდა, თუ ვინ ადგენს ამ სიებს. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ ნინოშვილში მცხოვრებ დავით ხოფერიასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას პრესაშიც ქონდა გამოხმაურება. ახალგაზრდას, იმის გამო, რომ იმყოფებოდა სამხედრო - სავალდებულო სამსახურში მოეხსნა სოციალური დახმარება და საყოველთაო დაზღვევა. დეპუტატს ვერ წარმოედგინა, რომ შსს -ს საკუთარ თანამშრომლებთან მიმართებაში ექნებოდა ასეთი უნიათო დაზღვევა, რომელიც არ დააფინანსებდა საოპერაციო ხარჯებს. მან თხოვნით მიმართა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, თამარ ფირცხალაიშვილს, რომ ამ ახალგაზრდისთვის მოხდეს მაქსიმალურად დახმარების გაწევა. ეს ნამდვილად არ იქნება წინასაარჩევნო პიარი, რადგან ამ პიროვნებას აქვს ძალიან დიდი პრობლემა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს იყო ნამდვილად სტიქია და ქარიშხალი. მხოლოდ გულიანამდე 6 ხე იყო გზაზე წაქცეული, რამაც შეაფერხა ავტომანქანების გადაადგილება, მაგრამ ჩოჩხათის გზის არც ერთი დაზიანებული მონაკვეთი არ არის სიაში შეყვანილი.

ასევე, სოფელ ჩოჩხათში გელა სულაბერიძის სახლს გადახადა სახურავი. მეორე ოჯახსაც ანალოგიური ზიანი მიაყენა ძლიერმა ქარმა, მაგრამ რატომღაც ეს მოქალაქე არ არის ჩამონათვალში. დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოციალურ პროგრამასთან დაკავშირებით ის ეთანხმება საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს თავმჯდომარეს, ემზარ თევდორაძეს. აღნიშნული წინადადება გამგეობიდან არ შემოსულა, არამედ ეს იყო საკრებულოს წევრების უმრავლესობის მოთხოვნა, რადგან მათ ძალიან ხშირად მიმართავენ მოქალაქეები, რომლებმაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ ერთჯერადი დახმარების გაწევა. თავიდან საუბარი იყო 15 000 ლარის გამოყოფაზე, მაგრამ აღნიშნა, რომ ეს თანხა არ იქნებოდა საკმარისი ერთი კომისიისთვის, ამიტომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გადაწყდა 20 000 ლარის გამოყოფა, მაგრამ მისი გაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომისიური წესით.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ჯურყვეთის მკვიდრს, ტარიელ მურვანიძეს ნალექის შედეგად ჩამოენგრა სახლის სახურავი, რაზეც ინფორმაცია მიაწოდა ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს. პირადად დეპუტატთანაც იმყოფებოდა დახმარების თაობაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს წვიმა მუნიციპალიტეტში არ იყო სტიქიასთან გათანაბრებული და განცხადებაზე მიიღო უარყოფითი პასუხი. დეპუტატმა თხოვნით მიმართა შესაბამის სამსახურს, რომ ეს ოჯახი იქნას გათვალისწინებული.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ თუ შესაძლებელია დაზუსტდეს დაზარალებულთა სიები, რადგან დეპუტატების გარკვეული ნაწილი არ არის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. მან მოუწოდა დეპუტატებს, რომ ვინც მის წინადადებას ეთანხმება, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ზლაგიძემ** აღნიშნა, რომ კომისია შედგება 14 წევრისგან, ამასთან ძირეულ საკითხებთან დაკავშირებით ყველა მაჟორიტარ დეპუტატს მიეწოდება ინფორმაცია. ის, როგორც სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გამოხატავს მზაობას დეპუტატ გიორგი გოგუაძის მოთხოვნაზე - მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა, ასევე გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, რათა განხილულ იქნას თუ რომელ სოფელში და როგორ გაიხარჯება მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხა. ამასთან გასარკვევია, რატომ არ არის სიაში ის ოჯახები, რომელთაც რეალურად მიადგათ სტიქიის შედეგად ზიანი. მან აღნიშნა, რომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრის, თეიმურაზ ალექსაიას და სხვა მაჟორიტარი დეპუტატების მიერ კომისიის სხდომებზე არაერთხელ გაკეთდა განცხადებები ასეთ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც განხილვის შემდეგ მიეწოდება აღმასრულებელ ხელისუფლებას და შესაბამის სამსახურებს, რის საფუძველზეც ხდება სიის შედგენა.

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, **ჯუმბერ ზლაგიძეს**, რომ კომისიის სხდომაზე მოწვეულ იქნას ყველა საინფორმაციო საშუალება, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“-ს წარმომადგენელი, რათა მან უზრუნველყოს პირდაპირი ტრანსლაცია.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე სტიქიასთან დაკავშირებული საკითხის განხილვამდე გადაიდოს მისი მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ თანხა უნდა აისახოს ბიუჯეტში, ხოლო შემდგომ მიზანშეწონილია საკითხის დაზუსტება და გარკვევა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** მიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, ჯუმბერ ბლაგიძეს, რომ კომისიის სხდომაზე მოწვეულ იქნას მუნიციპალიტეტის გამგებელი და შესაბამისი სამსახურების უფროსები.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (გიორგი გოგუაძე, ნონა მურვანიძე), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2 დეპუტატმა (თეიმურაზ ალექსაია, დარეჯან ბურჭულაძე);

მიღებულ იქნა დადგენილება N 26 (06.09. 2017 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო